

„დროები“ს რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
მცხოვრებთათვის აღწერა: Тифлисъ, ред. „Дროба“
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროები

ბამონის ყოველ-დღე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უცხარე სტრიქონზე
ლი 25 მანათი; პირველი 50 მანათი სტრიქონზე
ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
ლობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოცხადებულ წერილებს
დაუბეჭდვლად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.
„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ цент., кторѣхъ
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროების“ ფასი აპრილის პირველიდან
წლის დამთავრებამდე 7 მ. და 50 კ.; სოფლის მასწავ-
ლებელთათვის 5 მან. და 50 კ.
წლით ხელის-მოძწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

პარტული თეატრი
ოთხშაბათს, აპრილის 3-ს
ქართული დრამატული დასისაგან
წარმოდგენილი იქნება:

I
სადამო მულოგალობა
პომელია 3 მოქმედებად, გადმოკე-
თებული თავ. ლავ. პრისთაისაგან.

II
აყალ-მაჰალი სოლ-ჰეარს შუა
მოღვეილი ერთ მოქმედებად, გად-
მოკეთებული ალექ. ჰიკინაძისაგან.

III
ლიპარტისმენტი
მ. ანდრონიკაშვილისა იმღერებს
ქართულ ხმებს, ვ. ალექსევე-მესხივეი
იმღერებს კომიკურ კუბლეტებს, მო-
ხევე ითამაშებს ჩინურს და ანდრო-
ნიკაშვილისა ითამაშებს ლეკურს.
ანტრაქტებში დაუტრავს ბ. პორ-
დაკოვის ორკესტრი.
დასაწყისა 8 საათზე.

შინაური ქრონიკა
= „ოფიციალურს“ გაზეთს „ქა-
კაში“ ვკითხულობთ „ოფიციალურს“
ცნობას:
„დასამატებლად უკვე გამოცხადე-
ბულის ცნობისა ამა მარტის 18-ს
მომხდარს შეიარაღებულს შეტაკებაზე
ჩვენი მურღაბის რაზმისა და აელა-
ნელთ შორის, იმიერ-ქაზისის მხრის
ჯარების უფროსი იცნობება დაწერი-
ლებით შემდეგს ამბავს, რომელიც
განმარტავს მიზეზს შეტაკებისას.
„მარტის 13-ს ჩვენი რაზმი, თა-
ნახმად წინაღვე მომხდარის განკარგუ-
ლებისა, მივიდა სოფ. ტაშ-კეპრის
ხილთან მდ. ტუშკას მარცხენ ნაპირ-
ზედ, რომელიც სათურქმენოს შედ-
გენს. მს ნაპირი დაქერილი აღმოჩნდა
აელანელებისაგან, რომელთაც აქ საფ-
რები გაეკეთებინათ. რომ შეტაკება
არ მომხდარიყო, გენ. პომაროვმა
უბძანა თვის რაზმს, ხუთი ვერსის
მანძილზე დაბანაკებულიყო აელანის
საზღვრებისაგან, და 14-ს დაიწყო
მოლაპარაკება ინგლისის კაპიტან
შეტან. აელანელები რაკი დარწმუნ-
დენ, რომ ჩვენ არავითარი მტრული

განზრახვა არა გვაქვს, არც გვინდა
მათხედ იერიშით მივიდეთ, დღე-დღე-
ზე თან-და-თან უახლოვდებოდნ ჩვენს
ბანაკს. მარტის 15-ს აელანელებმა გა-
მოგზავნეს წინააღმდეგ ჩვენის როტი-
სა, რომელიც ფარავდა სათარეშოზედ
გავზავნილებს, სამი როტა არტილე-
რიით და ცხენოსანის ჯარით. თავ-
გასულობა აელანელებისა თან-და-თან
მატულობდა. 16-ს მათ დაიჭირეს სი-
მალღე, რომელიც თითქო ბძანებ-
ლობდა ჩვენი ჯარის ფლანგებს, დაიწ-
ყეს მათედ საფრების კეთება და წამო-
ყენეს ჩვენი ჯარის პირ-და-პირ ცხე-
ნოსანი ჯარის რაზმი და თოფის
სროლის მანძილზე დააქენეს თავიანთი
ყარაული. მეთს გამოასწვეეს მოქმე-
ბას შეიძლება აელანელები წაქე-
ზებინა და ბოლოს ყოველის უმიზე-
ზ-დ ჩვენი მხრით, შეტაკება მომხ-
დარიყო; ამისათვის მარტის 17-ს გენ.
პომაროვმა მოსთხოვა აელანელ რაზ-
მის უფროსს—გაეწმინდა იმავე დღის
საღამოსათვის მარცხენა, თურქმენების,
ნაპირი მდ. ტუშკასი, და აგრეთვე
მარჯვენა ნაპირი მდ. მურღაბისა
ჩრდილოეთით, როგორც ნაპირი ჩვენ-
მიერ აელანელების ტერიტორიად არ
აღივარებული. მოვიდა—რა პასუხი
აელანის ჯარის უფროსისაგან, რომ
იგი არ დაიძვრის მდ. ტუშკის ნაპი-
რიდამ, გენ. პომაროვმა ერთხელ კი-
დევ გაუბანა კვირა წერილი, მე-
გობრულის რჩევით. მარტის 18-ს გენ.
პომაროვმა, რომ თვის მოთხოვნილე-
ბა დაეკმაყოფილებინა, რაზმით დაიწ-
ყო წინ-წაწევა აელანელებისაგან და-
ქერილის საფრებისაკენ, თუმცა კიდევ

იმედობდა რომ საქმე შეთანხმებით
გათავდებოდა; მაგრამ აელანელებისა-
გან იერიშით მისელამ აიძულა იგი
დაეწყო შეტაკება, რომლის შედეგი
უკვე ცნობილია.“
= რუსეთისა და ინგლისის შუა ამტყ-
დარმა უსიამოვნებამ აელანელების და-
მარცხების გამო ომიანობის მოლო-
დინი დაჰბადა. თუმცა გაზეთები და-
ლიან თავშეკავებულად ლაპარაკობენ
და მშვიდობიანობის იმედს არ ჰკარ-
გვენ, მაგრამ რუსეთისა და ინგლისის
შუა ურთიერთი განწყობილება ძალიან
შერყეულია. მართალია დიპლომატი-
ების და გაზეთების აზრთა შორის ძნე-
ლია ვიპოვოთ რაიმე ნამდვილი და
დასაჯერებელი საბუთი; მაგრამ ერთს
მოვლენად კი, რომელიც უტყუარად
და ნამდვილის მდგომარეობის გამო-
მხატველად არის ნაცნობი, არა და-
მამშვიდებელი ხასიათი აქვს. მს არის
ბორჯა. ბორჯა ყველაზე ნამდვილად
იგონობს, თუ რა შიში მოვლის სა-
ხელმწიფოთა შორის ურთიერთობას.
მაგალითებზე, ამ სამის კვირის წინადა,
როცა ომიანობაზე არავითარი ხმა არ
იყო, ჩვენი ოქროს ხუთი მანათი, —
ესე იგი პოლუიმპერიალი, ღირდა შეი-
დი მანათი ოთხი აბაზი და ცხრა კა-
პეიკი ქალაქის ფული; დღეს კი იგი-
ვე პოლუიმპერიალიმა რვა მანათსა და
ორ აბაზამდე აიწია. მამასადამე სამი
აბაზითა და ერთის კაპეიკით გაძვირდა.
ამ განსხვავებას კიდევ უფრო აშკარად
დავინახეთ, თუ შევადარებთ სხვა ქა-
ლალდების კურსსაც.
= დღეს მთავარ-მმართველი თავა-

ბ-ნი სმირონოვის
რეიკერატის გამო.
სამეცნიერო ტერმინები სრულიად
განმარტებულნი უნდა იყვნენ და მა-
თი აზრის სინამდვილით გამოარკვევა
აუცილებლად საჭიროა, ამ მხრივ ბ-ნი
სმირონოვისაგან აღძრული საგანი, —თუ
რა მნიშვნელობა აქვს ტერმინებს „ტო-
მი“ (племя) და „ხალხი“ (народъ)
ანტროპოლოგიაში სრული ყურადღე-
ბის ღირსია, ამისათვის რომ არამც
თუ სხვა-და-სხვა მწერალნი, არამედ
ერთი და იგივე მეცნიერი თავის თხზუ-
ლების სხვა-და-სხვა ფურცლებზედ ამ
ტერმინებს სხვა-და-სხვა მნიშვნელობი-
თა ხმარობს და ამით თხზულების აზ-
რი გაუგებარი ხდება.
მაგრამ თვით ბატონი სმირონოვი
როგორღა ხსნის ამ ტერმინებს?
იგი ამბობს: „მოღგმა“ (раса) და
„ტომი“ ბუნების-მეტყველური ცნე-

ბანი არიან და შეადგენენ სხვა-და-სხვა
დაყოფილებას სახისას (видъ). პირ-
ველი ტერმინი — მოღგმა — ნიშნავს
უფრო ვრცელს ჯგუფს, რომლის თეი-
სებაც უფრო საზოგადო ნიშნებით
გამოიხატება, ხოლო მეორე—პატარა
ჯგუფს—პირველის ნაწილს.“
ტერმინზედ „ხალხი“ ბ-ნი სმირონოვი
ამბობს: „იგი ნიშნავს ადამიანთა რე-
მელსამე ჯგუფს იმ სივრცით და სა-
ხით, როგორც იგი ეხლა ჩვენ თვალწინ
წარმოვიდგება, განურჩევლად მისის
ჩამომავლობისა და შედგენილები-
სა.“
შედა გამოვტყდეთ, რომ ასეთი
განმარტება არაფერს არა ნიშნავს და
თუ „მოღგმა“ და „ტომი“ მეცნიერ-
ული ტერმინებია, რადგანაც მათ
განსაზღვრული თვისება აქვთ, ამის
ნაცვლად სიტყვას „ხალხი“, როგორც
იგი განმარტა ბ-ნმა სმირონოვმა, არა-
ვითარი განსაზღვრული თვისება არა
აქვს. მართლაცა და რა რეალური
თვისებანი არიან საქირონი, რომ რე-
ფერატის აზრისა მებრ ხალხის სახელი

დაიმასხურო? ბ-ნი სმირონოვი პასუხად
გვეუბნება: „უნდა წარმოადგენდეს ად-
ამანთა ჯგუფს იმ საგრძობ და სახით,
როგორც იგი ჩვენ თვალწინ წარმო-
გვიდგება, განურჩევლად დასჯერე-
ბით მისის ჩამომავლობისა და შედგე-
ნილებისა.“
მამასადამე, ბ-ნის სმირონოვის აზრით
ადამიანთა ჯგუფი მცხოვრები თუნდ
ესთქეთ მთილისის ახლოს შეადგენს
„ხალხს“.
თითქოს იმისთვის, რომ უფრო გა-
უგებარი გახადოს თვისი განმარტება,
ბ-ნს სმირონოვს სხოლიოში მოჰყავს
ლიტრეს სიტყვები, რომელთაც ასე
სთარგმნის: „ხალხი (peuple)— არის
კრება ადამიანთა, რომელიც რომელ-
სამე მხარეში სცხოვრობს და ერთსა
და იმავე კანონს ემორჩილება“.
მს განმარტება ლიტრესი, —სწორეა
იგი, თუ არა, —მანც სრულიად ცხა-
ლია. ბატონი სმირონოვის განმარ-
ტება კი ისე მთლად მოთავსდება
ლიტრეს განმარტებაში, როგორც
მდღევარე მდინარეში ერთი ცვარი

წყალი, რომელიც ვერ შესცვლის
ვერც მისს მიმდინარეობასა და ვერც
მისს სუნსა და გემოს.
მამასადამე რეიკერატის მეცადინეო-
ბა განმარტოს ტერმინი „ხალხი“ ამო
მეცადინეობადვე რჩება.
მაგრამ ამ ტერმინს მაინცა-და-მა-
ინც ხმარობენ და მამასადამე განსაზ-
ღერული მნიშვნელობაც უნდა ჰქონ-
დეს, და კიდევცა აქვს.
შპირველეს საგანს ეტნოლოგიისას—
განაწილებას კაცთა ნათესაისას ჯგუ-
ფებად—შეიძლება თავიდან ბოლომ-
დინ დავეყვით, ან ავეყვით ბოლოდამ
თავამდე. ბოლოდამ პირველი საფეხუ-
რი არის თვითება—ადამიანი. ადამიან-
თა ჯგუფი, შეერთებული ერთის ენით,
ჩამომავლობით და ისტორიულის ცხოვ-
რებით შეადგენს მეორე საფეხურს—
„ხალხს“; ერთობა ერის ბუნებითი-
ისტორიულის ნიშნებისა, ე. ი. ენისა
და ჩამომავლობისა შეადგენს ტომს;
შემდეგ შეიძინებენ ცნებას ხალხთა ოჯახ-
ზედ (семья народовъ) და მოდგმა-
ზედ.

დი ღონდუკოვ-პორსაკოვი, თავისი კანცელიარის დირექტორით — გენერალ-მაიორის შებენიანობით გამგზავრენ ბაქას.

== მკითხველებს დაეწეული არ ექნებათ, რომ ბ. მხორჭევსკიმ, ნიჭიერად გადათარგმნა რამდენიმე ლექსი ჩვენის პოეტებისა რუსულად. მხლა მას სხვებიც მიუმატებია უკვე დაბეჭდილ ნათარგმნებისათვის, „მეფის-ბიჭოსწავლისა“ აპრობს ერთის რომელიმე სცენის პოეტურს თარგმანს და მასუკან ყველა თავის ნათარგმნების ერთად დაბეჭდვა მსურს, რათა რუსის საზოგადოებას გააცნოს ნაწარმოებნი ჩვენის საუკეთესო პოეტებისა.

== ძვირა სალამოს კლუბის ხალაში გაიმართა კონცერტი „წერაპითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ, რომელზედაც ხალხი საკმაოდ დაესწრო. მანსაკუთრებული ყურადღება მიიქცევს გამოჩენილმა მომღერალმა ზარულდანიამ და ბ. მხორჭევსკიმ თავის მშვენიერი თარგმანებით ქართული ლექსებისა.

== ღრო იცვალა! ღიდის ხნილამ დარჩენილს დღეობას, ძვირა-მხოვლობას, როგორის მხიარულებით ატარებდენ ძალაქის მცხოვრებნი! მთელი ძალაქი გაეფინებოდა ჩუღურეთის ზვეით მთას; სიმღერას, მხიარულებას, სხვა-და-სხვა გართობას ვერ გადათვლიდით. ღდეს რა-ლა? მრევიან და აღარც სიმღერისა და არც სხვა გართობის ნებას აღარ აძლევენ ათასობით შეგროვილს ხალხს. ნეტა რას ნიშნავს ამ საუკუნეობით დარჩენილის დღეობის შეურაცხყოფა!..

== ზორილამ გვეწერენ: „ჩვენი ქუჩები საზოგადოდ უწმინდურად არის ხოლმე შენახული, განსაკუთრებით წრეულს; მხოლოდ ერთი დიდი ქუჩაა სუფთად

დაკული; დანარჩენებზე ადამიანი ისე ვერ გაივლის, რომ ცხვირზე ხელის მოჭერა არ მოუნდეს. საკვირველია, რომ არც ქალაქის სამმართველო და არც სხვა ვინმე სრულიად ყურადღებას არ აქცევენ; ამიტომაც არის, რომ ქ. ზორს აღარ მოსცილდა თავილამ სხვა-და-სხვა ავადმყოფობა; ეხლა ამბობენ, რომ ქუჩათუშმა გაჩნდა. ამასაც ნუ დაივიწყებენ გორელები, რომ ამ რამდენიმე თვის წინად ხოლმე გვარი სენით თითო-ორი კაცი ვახდა ავად. შველა ეს მიიღოს მხედველობაში ქალაქის თვით-მმართველობამ და ეცადოს ქალაქის გასუფთავებისათვის, თორემ რაც ყველმა დააკლო (სამასზე მეტი ყმაწვილი იმსხვერპლა ყველით), იმას დაუნდაბელი ხოლმეა შეუსრულებს“.

== იქილამვე გვეწერენ, რომ ზორის ქალაქის სამმართველო ძალიან ღარიბად არისო; მისი კასა გამოფხეკილია, მოსამსახურე პირნი ღროზე ვერ იღებენ ჯამაგირებსო; უფროა შესაბრალოსნი არიან ამ მხრივ მწერლები და ბიჭები, რომელნიც თვეში თითო თუმნის შემაკვერალნი არიან და ამ მცირესაც ღროზე ვერ იღებენო. ამიტომ თხოულობენ ზოგიერთნი ხმ.ისნი ხარჯების შემოკლებას: თავს სამასი თუმნის ადვილს — ორასი დაუნიშნეს; მდივანს ოთხმოცის მაგიერად — სამოცი თუმანი. თავმა ეხლახან ერთი კარგი სამსახური გაუწია ქალაქს: მთავრობას გამოსთხოვა ოთხასი თუმანი ლიხვის გასამაგრებლად. მაგრამ თუ ეხლავე არ შეუდგენ საქმეს, შემდეგში ყოველი ცდა ამაო იქნებაო.

== ძართლილამ გვატყობინებენ: მთელმა მარტმა ისრე გაიარა, რომ რიგანი დარი არ გენახავსო; სულ თოვლი და ქარი; ქვედა ქარი (აღმოსავლეთისა) განუწყვეტილად ჰქროდა; მიწა სრულდებით გამოახშო; ჯერ არ შე-

მოსილა მინდორ-ველი ბალახით; თუ ამ ცოტა ხანში წვიმა არ გაუჩნდა, მოსავალს ძლიერ უჭირს; ჯეჯილები ჯერ მიწას არ ასცილებინან; გუთანი ამ ღლებში გაიტანეს და ამისაგამო სიმინდის დათესვაც გვიანდება. სოფლებში ყვეელი ისევ მძინეარებს, თუმცა ისრე ძლიერად არა, როგორც ამ ზამთარს.

== ძართლილამვე გვეწერენ: „სოფელ რეხაში მარტის 26 გამართული იყო სცენის მოყვარეთაგან ქართული წარმოდგენა მბილისის პლექსანდრის ინსტიტუტის ღარიბ მოსწავლეთათვის, რომელნიც სწავლის ფულის შეუტანლობისა გამო, როგორც სთქვეს, სასწავლებლილამ დათხოვილ იქმნენო. წარმოდგენეს ორი მოქმედება. საგარლის კომედიისა რაც გინახვ კვლავ ნახავ და ვოდველი მ. აბაშიძისა რცელი თუ გინდათ ეს არის. წარმოდგენამ კარგად ვერ ჩაიარა. შემოვიდა 60 მანათამდე. შრომისთვის სრული მადლობის ღირსია თ-ღი პ. მრისთავი.

== ამ უკანასკნელ დროში, ღვისის წარმოების საქმეში დიდი მნიშვნელობა მიეცა ესპანის მიწას, რომელიც მშენიერად სწმუნდს ღვისს. ასეთს თავისუფანს ესპანის მიწისს მიწაწერენ ამ მიწაში ზოგაერთი ქიმიური ნაწილების არსებობას. ერთი ჩვენი ქვეყნის შემადგენელია განს თ. ჯორჯამეს გამაუწყება ეს მიწა ესპანიადან, მაგრამ დამოყნაში ეს უბრალო მიწა იტეს „რადრე გაუტებარ ქიმიურ ნაყოფად“ და ამიტომ რა თქმა უნდა მაშინვე აღუგებლად და გადასწავიტეს, რომ ფუთზე რა მანათი (ექსტრაქტი) გადაესდნა თ. ჯორჯამეს. თ-ღი ჯორჯამე არ დათანხმდა ამ გარდაწვეტილებას და ესდა, როგორც „ნაყოფი რაზრენი“ იწყება ამ ესპანიალამ მოტანილს მიწაზე აქციონარო დასიშნული.

== „გაკვასის“ №-ში დაბეჭდილია

ოფიციალური ცნობა, შეესაბამება ნაზიის გასსსისა ქ. თბილისში. ეს გასკარგულება ფრად სასამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ყველასთვის. თუმცა ქალაქში რა გინახავს, მაგრამ ესენი ნახვერად ვერ აკმაყოფილებენ თბილ. გუბერნასს.

== გ.ს. „მოსკ. უწუ.“ კვითსულეობთ ამ ღლებში დამტკიცდა წინადადება გუკასიის მთავარ-მმართველისა, რომ სამქალაქო უწყებათა შირგებულად გარტყლდეს ის უზარატესობა, რომელიც მინიჭებული აქვთ გუკასიასი დასიშნულ სასკედრო უწყებათა შირგებს. ამ წესდების ძალით სამქალაქო ხინაგნიკებსაც, გავგზავნილთ გუკასიასი იმპერის შუაგულ გუბერნიებილამ, მიეცემათ ის უზარატესობა, რომ მათ, სხვათა შორის, მოქმედათ გვის ხარჯი სამსახურის დრას; ამასთანავე უაკვლ სუთს წელაწადში მათი ჯამაგირი 25%ით იმატებს და პენსიის მისაღებად უფრო ნაკლები დრა უნდა იმსახურდნ.

„დროშის“ კორმპონდენცია

„შორაპანი, მარტის 8-ს. მუთაისის გუბერნიასი გარდა შორაპანის მახრი-სა, ყველა მაზრებში ირინა თავი სწავლა-განათლების სურვილმა. ადგილობრივი საზოგადოება გულ-მხურვალედ მეცადინეობს და ყოველგან სცენის სკოლების დაარსების საშუალებას. შორაპანის მაზრას კი თავის მეთაურებით დღემდის ეძინა. ამ მაზრაში იქმნება თავად-აზნაურობა არა ნაკლებ 1844 კომლისა, და დღემდის მათგან არაინ არ გამოჩნდა ამ კეთილი საქმის განსახორციელებლად.

ღდეს კი მზრუნველობა დიწყო შორაპანის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა უკან. თ-ღმა პლექსანდრე ბაგრატიონმა.

პირველად ამ საგნის შესახებ მოხდა კერძო კრება თავად-აზნაურთა

მაშასადამე „მოდგმა“ და „ტომი“ არის ცნება ნამდვილი ბუნებითი-ისტორიული, ხოლო „ხალხი“ რთული ცნება, რომელშიაც ადვილი უჭირავს, როგორც ბუნებითს თვისებებს, ისე ისტორიას. მაგრამ რუსულს ენაზედ სიტყვა „ხალხს“ (народъ) არა აქვს სინამდვილით განმარტებული აზრი*), რისთვისაც ცნება, რომელსაც აძლევს ეტნოლოგია ამ სიტყვას, უმჯობესი იქნებოდა აღნიშნულიყო რუსულად სიტყვით ერი, „ნაცია“ (нація). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ლიტრეს განმარტება შეეხებოდა მხოლოდ სიტყვა ხალხს, ფრანკულულად

(peuple)*. ბ.ნი სმირნოვის განმარტება კი სიტყვისა „ხალხი“ ჩვენის აზრით არას გზით არ უნდა მიღებულ იქმნას, რადგანაც ასეთი განმარტება

*) ჭრანტუზული სიტყვები: nation და peuple თუმცა სინონიმებად ითვლებიან, ე. ი. ერთ-აზროვნებად, მაგრამ მათ სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვთ.

Dict. univerv. des synonymes Guizot-ში შემდეგი განმარტებაა ამ სიტყვებისა: nation ნიშნავს ადამიანთა ერთმანეთთან დამოკიდებულებას წარმოშობით და შთამომავლობით, „peuple“ — დამოკიდებულებას რიცხვითა და ადგილით.

Dict. de l'academie française-ში, გამოც. 6 ნათქვამია: „peuple, nation, ნიშნავს ადამიანთა ჯგუფს რომელიმე ქვეყნისა, მცხოვრებს ერთსა და იმავე კანონების ქვეშე“.

მაკაროვის ლექსიკონში თქმულია: nation ნიშნავს რომელიმე ქვეყნის მამა-პაპოფე მცხოვრებთ. People — ყველა მცხოვრებლებს საერთოდ. ერთობა ენისა, ხასიათისა და გარდამოცემულობისა შეადგენს ერს (nation), მორჩილება ერთისა და იმავე კანონებისადმი — ხალხს (peuple).

უმნიშვნელოა სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის.

მხლა ვადავიდეთ რეჭვრატის მეორე ნაწილზე, სადაც ძვეკასიის მცხოვრებთა ეტნოლოგიურს კლასიფიკაციასზედ არის საუბარი.

ეტნოლოგიურად ადამიანების ნაციებად, ტომებად და მოდგმებად დაყოფისათვის საშუალებად ითვლება ენების ცოდნა, ანტროპოლოგიური ანატომია და ისტორია. მაგრამ ეს მეცნიერებანი დღევანდლამდის ისე განვითარებულნი არ არიან, რომ რაც ეკითხობთ, პასუხი მოგვეცენ და ამისათვის ხშირად იძულებულნი ვართ დავეჯრდეთ იმ მეცნიერებას, რომელმაც უფრო ძვირფასი მასალების შეგროვება მოახსრო.

რომ ანტროპოლოგია ამ შემთხვევაში ვერ დაგვეხმარება ამას თვით სმირნოვიც ამბობს. ძვეკასიის ძველი ისტორიაც, როგორც ყველამ იცის, დღევანდლამდის თითქმის არ არსებობს. მანსვენებული შსლარის თხზულებაში — ძველი თქმულებანი ძვეკა-

სიასზედ, — რომელიც ერთად-ერთი წყაროა ჩვენის წარსულის ცხოვრების ბნელის საგნების გასამარტებლად, — არ მოაზრებინან ნამდვილნი დასკვნანი; მაშასადამე გვჩნება ერთი საყურადღებო საფუძველი ძვეკასიის მცხოვრებთა რიგზედ დასაწყობად — დასკვნანი, დადგენილნი ენის შესახებ დაწერილს სამეცნიერო შრომებში.

ენის მიხედვით, გამოკვლეულს ნაცილს კაცთა ნათესაობისას ჰყოფენ სამს ჯურად (семья языковъ, famille *)

- 1) პრიული
- 2) სემიტური
- 3) ჩრდილოეთ-თურანული
- 4) სამხრეთ-თურანული.

უკანასკნელს ორს ჯურას ზოგიერთა მეცნიერნი ერთად აერთებენ (რენანი), სხვანი კი ჩრდილოეთ-თურანულს ჯურას ურალო-ალტაისას ემხიან.

*) ზოგიერთი მწერლები სხვა კლასიფიკაციას მისდევენ.

*) Толковый словарь Дала: народъ, людъ народившійся на известномъ пространствѣ; люди вообще, языкъ, племя; жители страны, говорящіе однимъ языкомъ, обитатели страны, состоящіе подъ однимъ управленіемъ, чернъ и пр. Нація, народъ въ обширномъ значеніи; языкъ, племя, вообще, одно-родцы, говорящіе однимъ общимъ языкомъ, всѣ сословія.



შორის, რომელსეც აზნაურმა პავ-
ლე ბეჟანის ძე ჩხეიძემ, ურჩია თავადა-
აზნაურობას სამ-კლასიანი სკოლის
დაარსება და ამისათვის ფული გაწერა
მთელს საზოგადოებაზე. ეს ფული ჩხეი-
ძის აზრით, უნდა იქმნეს შემოტანი-
ლი ერთ-ბაშად და არა ყოველ წლივ,
კომლისაგან 50 მანათი, რაიც
შეადგენს არა ნაკლებ 90000 მან,
ამ ფულით შეიძლება სკოლის აშენე-
ბაც, მოწყობაც და იმდენი სარგებლის
აღება წელიწადში, რომ ერთი ინსექ-
ტორი ორი მასწავლებელი შეეინა-
ხოთ.

ბ. ჩხეიძემ ურჩია საზოგადოებას
ამოეჩხათ ყოველ მასწავლებელს ხუთი კე-
თილ-სანიმედო პირი, რომელთაც უნდა
დაჰქონ მთელი თავადაზნაურობა სამ-
კატეგორიად, და შეძლების ჯვალობა-
ზედ გააწერონ ერთბაშად შემოსატა-
ნი ფული.

შემო-ხსენებულ საგანზედ მოსალა-
პარაკებლად ბაკრატიონმა დანიშნა
დ. შვირილაში თავადაზნაურობა ყრი-
ლობა თებერვლის 20-ს, მაგრამ ბევრ-
თა ვერ მოიყარეს თავი ცუდი ამიდის
მიზეზით და ზოგს არც კი გაუგია
თავის დაბარება. ძირილობა გადაიღვა
სხვა დროსათვის.

უცხოეთი

ავღანის სამხმნი.

ბრიტანის სააგენტო იწერება რა-
ვალ-პინდიდამ, რომ გამოვიდა ბრძა-
ნებო საჩქაროდ დასრულდეს რკინის
გზის შტოს გაყვანა ძვეთამდე. ნება-
ლი იძლევა 15,000 კაცს, რომელ-
ნიც ყოველს წამში მზა არიან ინ-
გლისელ აფიცრების ბრძანებლობის
ქვეშ ვადიდენ საზღვარს. საზოგა-
დოდ მთელი ჯარი სრულიად ინ-
გლისის განკარგულებაში იქმნება.
ნებალი აგრეთვე ჰპირდება ინგლისს
დახმარება გაუწიოს ჯარის მოკრები-

შველა ჯურა ენებისა იყოფება მუხ-
ლებად (поколения) და ყველა მუხლ-
შია, როგორც მკვდარი ისე ცოცხალი
ენები.

ეს ლინგვისტიური კლასიფიკაცია
ეტნოლოგიურს კლასიფიკაციასზედ რომ
გადეიტანოთ, მიიღებთ, რომ მოდგმა
უღრის ენების ჯურას, ტომი — მუხლს;
არსებული ნაგა — ცოცხალი ენებს.

სხადია, რომ ძველსიურს ენებს რა-
დესაც გამოვიკვლევთ, იგინი შესაფერს
ადგილს დაიჭირონ ან ხსენებულს კლასი-
ფიკაციაში, რომელიც ჯერ-ჯერობ-
ით მეცნიერების უკანასკნელი სიტყ-
ვაა, ან თუ იგინი არ მიუდგებიან არ-
სებულს ენათა ჯურებს, მაშინ ერთი
ერთმანეთის მსგავსებისამებრ უნდა
დაწყობილ იქმნან ენათა მუხლებად
და შემდეგ საკუთარს ჯურებად.

დღევანდლამდის ძველსიურს ენათა
შორის ცოცხალი თუ ბევრად მეცნიე-
რულად გამოკვლეულნი არიან:

- 1) მსურნი
- 2) სომხური
- 3) ძართული

სათვის. ღრეს ვასინჯეს აქ ყველა ინ-
ლისელი და ინდოელი ჯარებო. ჯარ-
ების გამინჯეზე დაესწრენ მიცე-კორა-
ლი ინდოეთისა, ემირი და პონაუტის
ჰერცოგი. ჯარების დარაზმულობა
ფრიად მოიწონეს ყველამ და ემირზე
განსაკუთრებით სასიამოვნო შთაბეჭ-
დილება მოახდინა ამ გარემოებამ.
სალამოს ლორდ ლეფერინი ბანკეთს
მართავს ემირის პატივ-საცემლად.

ლონდონში უკვე მიუღიათ რუსე-
თის პასუხი ლორდ ბრანვილსაგან
გაგზავნილს ნოტაზე პელანის საზღე-
რების შესახებ. საზოგადოებათა პალა-
ტაში შიციმარისმა განაცხადა, რუ-
სეთის პასუხი უკვე გამოგზავნილია,
მაგრამ ნამდვილი შინაარსი კი ამ
პასუხისა არ ვუწყით ჯერაო. შე-
ქველია რუსეთს მხრით გამო-
ცხადებულ იქმნება სურვილი, რომ
ჩვენი მესამედერე კომისია რაც შეიძ-
ლება ჩქარა შეხვდეს რუსეთის ამ გვარ-
სავე კომისიას და საქმე მშვიდობიანად
დაბლოვდეს. ამისათვის არ იქმნე-
ბოდა უადვილო, რომ ჩვენ ამ საქმეს
უფრო გულ-დამშვიდებით მოვკიდებო-
დით; ცხარედ მოპურობა აწყენდა საქ-
მეს, რომელიც სასურველია მშვიდო-
ბით გადაწყდესა.

მომის მოლოდინის უტუტური ტერ-
მომეტრი ბირჟა. ბერლინის კაპიტა-
ლისტების შორის, რომელთაც უჭი-
რავთ უფრო მეტი რუსის ქალაქები,
როგორც იტყვიან — ქრისტეს ტირი-
ლია. ჯერ სანამ პელანის სამზღვრებ-
ზეა საქმე, შეიძლება მოველოდეთ,
ამბობს ერთი ნემეცური გაზეთი, რომ
ინგლისი მცირეოდენს დასთმობს,
მაგრამ თუ კი რუსეთი შეეზო
ინგლისის სახელს, პატრიოტულს
გრძობას — ომი აუცილებელია. ამ
გვარს ომში ინგლისი წარმოადგენს
განუზომელს ფინანსურს ძალას, რუ-
სეთი — ფიზიკურს. იქმნება რუსეთ-
მა კიდევ გაიმარჯვოს ინგლისზე,
მაგრამ ყოველს შემთხვევაში ეს ზარ-
ღამცემს ვაღენას იქონიებს ბერლი-

- 4) მეგრული და ლაზური ენა.
- 5) სენური
- 6) აფხაზური, ჩეჩნური და დღეს-
ტნის ზოგიერთა ენები.

ამ ენათა შორის პირველი ორი
ენა — მსური და სომხური — ყველასა-
გან არიულის ჯურის ენათა ნათესა-
ვად არიან მიღებულნი და მაქს მიუ-
ღერის *) ლექსებში მოყვანილს
სქემაში ჩაიციხულ არიან არიულის
ჯურის ენათა შორის, ირანულ
მუხლში, როგორც ცოცხალი ენები.
მაშასადამე ესები შეადგენენ განსაკუთ-
რებულს ნაციას, ირანის ტომისას, არიუ-
ლის ჯგუფისას. სომხები შეადგენენ
განსაკუთრებულს ნაციას, ირანის
ტომისას, არიულის ჯგუფისას; თუ
რომ პროფესორი პატკანოვის ჰიპო-
ტეზას მიიღებთ, მაშინ სომხები უნ-
და ჯერედ გამოუჩვენდეს ტომს ეკუ-
თნოდენ.

რაც შეეხება ძველსიურს დანარჩენ
ენებს, დღევანდლამდის ვერ გამოუ-

*) La science du langage. გვ. 429.

ნის ბირჟაზე. ბერლინის კაპიტალის-
ტები-კი დიდი შიამდენი იყვნენ, რომ
რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა
გაბრწყინდებოდა, ჰყიდულდებოდა აუა-
რებელ რუსის ქალაქებს, რითაც
რუსეთის გაჭირებულს ფინანსიურ
მდგომარეობას რუს-მსალოს ომის
შემდეგ დიდი საშუალება აღმოუჩინეს.
, მიშყევით, ხელმწიფეო, კარგს პოლი-
ტიკას და გაბრწყინდება თქვენი საბრძა-
ნებელის ფინანსიური მხარეცაო —
უთხოვ ერთმა იმპერიის დროის მი-
ნისტრმა საფრანგეთის იმპერატორს.
ამ გონიერის რჩევის დაეიწყებას არა-
ვის არ უჩვეოთ, დასძენს ნემეცური
გაზეთი.

ბარმანი. ბისმარკს ღლეობა დი-
დებულად იღლესაწაულა ბერმანიამ.
სამი ათასამდე მილოცვის ღებებში
თუ წერილები მიუვიდა დღეობის დღეს-
თ-დს ბისმარკს. „საყვარელო თავადო,
სწერდა ამ დღეს ბისმარკს იმპერატორი
მილოცვლი, ჩემთვისა და ჩემის სახლო-
ბისათვის დიდად სასიამოვნოა მონაწი-
ლეობის მიღება თქვენს ღლეობაში...
მქვენი, საყვარელო თავადო, იცით
ჩემი უკმაყოფილება, განწყობილება
თქვენდამი და განუზომელი მადლო-
ბა. ძერძოდ თქვენ, რასაც მე აქ ვამბობ,
ახალს არას გეუბნებათ; ყოველივე ეს
არა ერთხელ გამიმეორებია თქვენთვის,
მაგრამ ეს სურათი, რომელსაც გილო-
ცავთ მე თქვენ, მოაგონებს თქვენს
ჩამომავლობას რომ თქვენს იმპერა-
ტორს და მისს სახლს ნათლად ესმო-
დათ — რისთვისაც გმადლობდენ თქვენ
ისინიო“.

ცელეგრაფები

„ხრდილეთის სასკენტოსა“
მარტის 30-ს.

შაშინებომნი. შეერთებულს შტა-
ტებში ადგილის სივრცემ, რომელ-

კვლევით მათი ნათესაობა იმ ენებ-
თან, რომელიც მიუღერის სქემაში
არაინ მოქცეულნი. ამისათვის ბარონ
შსლარმა ვერ გადასწყვიტა — ეს ენე-
ბი რომელ ჯურთა ენას ეკუთვნიან,
ან ხომ საკუთარს ენის ჯურას არ
შეადგენენ და მოითხოვა დაკმაყოფი-
ლებულიყვნენ თავდაპირველად მათის
ჯგუფებად დაყოფით: აღმოსავლეთ-
კავკასიურად დასავლეთ-კავკასიურად
და ივერიის ენებად.

რადგანაც ბ-ნი სმირნოვის რეფე-
რატი შეეხება მხოლოდ ივერიის ენა-
თა ჯგუფს, ამისათვის ჩვენც მათ
მიუებრუნდებით.

ამ ენების გამოკვლევა დაიწვეს
რამდენიმე პატივცემულთ მეცნიერთ
კლაროტმა, ბოპამ, ბროსემ, რუ-
ზენმა, შრ. მიულერმა და სავარდმა.
შველა ამ მეცნიერებმა ის დასკვნა
გამოიყვანეს, რომ ქართული, სენურ-
რი და მეგრული, ლაზების ენითურთ
უცილოდ ერთმანეთის ახლო მონა-
თესავენი არიან და შეადგენენ ერთს

ზედაც დათესილი რისი მთელი
თესლი, 3 მილ. ზედი იტლი.

ლონდონი. სამინისტროს ორ-
განი „Daily News“ იწერება, რომ
უკანასკნელი დეპეშები ვეტერბურ-
გიდამ იმედს იძლევიან საქმის
მშვიდობიანად გათავებისას; რუ-
სეთის პასუხს გრანვილის დაკით-
ხვაზედ ავღანელების დამარცხების
შესახებ ორს გვირახე ადრე არ
მოეღიან, რადგანაც რუსის შთავ-
რობამ მოსთხოვა გენერალს კომა-
როვს საქმის დაწვრილებით გან-
მარტება; მინამდის ინგლისელები
შეიარაღებას ენერგიულად განაგრ-
ძობენ. „Times“ ჰფიქრობს, რომ
გენერალი კომაროვი იმისთვის მი-
ვიდა მტერზედ იერიშით, რომ
გაეჭარწალებინა შთაბეჭდილება,
რომელიც მოახდინა ინგლისელებ-
ბისაგან ემირის პატივისცემა. გა-
ზეთი ამბობს, რომ თუ ავღანე-
ლების დამარცხებისათვის სამაგიე
რო არ გადავუხადეთ, მაშინ აზიელ
ველურ ხაღბთა თვალში რუსეთი
ამადღებდა და ინგლისი-კი დამ-
ცირდებაო. გაზ. „Globe“ ურ-
ჩევს დროით შეიარაღდენ და ბე-
ლუჯისტანში დააყენონ ძლიერი
ჯარი, ვიდრე კომაროვის პასუხი
მოვდოდესო.

თიჩიანი. ეიუბ-ხანი, ავღანის
ტანტის მოცილე, ცინეში დაატუ-
სადეს, რადგანაც ჩაიგდეს ხელში
იმის წერილები, რომლებიდანაც
სჩანს, რომ მას სპარსეთიდან გაქ-
ცევა სდომები.

მტაშა. ჩრდილო-დასავლეთის
კანადაში აჯანყება ძლიერდება.

მარტის 31-ს

პატიმარბი. სახელმწიფო რჩე-
ვის უმაღლესად დამტკიცებული
აზრით დადგინდა: სამზღვარს გა-
რეთიდად შემოტანილს სამეურნეო
იარაღებზე, რომელნიც ორთ-


ჯგუფს ძველის ენისას, რომელიც
ძალიან ემსგავსება ქართულს ენას
და რომლის კვალიც იპოვეს ლენორ-
მანისაგან გარკვეულს ვანის ლურ-
სმულს ზედ-წარწერებში.

ამ საუთუძელებით, რომელთაც ჯერ
კიდევ გარკვევა უნდათ და აგრეთვე
ზოგიერთა ისტორიულის ჭაქტების
გამო, მიღებულთა, რომ ეხლანდელი
ჭართველები, სვანები, და მკვრელები
აზნებთურთ შეადგენენ სამს შტოს
ერთის ტომისას, რომელსაც ივერიის
ანუ ქართველის ტომს ეძახიან.

შემდეგნი გამოკვლევანი ენათა შე-
სახებ უსათუოდ დაგვისახელებენ ენე-
ბის ჯურასაც, რომელსაც ივერიის
ტომის ენები ეკუთვნიან.

მარედ — ტერმინები მოდგმა, ტო-
მი, „ნაცია“ და „ხალხი“ უნდა
გამოკვლეულებად ჩაითვალოს და ეტი-
მოლოგიის საქმე ძველსიურში ის უნდა
იყოს, რომ შეუთანხმოს ეს ტერმი-
ნები ძველსიურს ყელის სხვა-და-სხვა
გვარს ეროვნობას.

გიორგი ყაზბეგი.



ქლით არ მოქმედებენ და განსაკუთრებული სახელი არა აქვთ და აგრეთვე ამათს მოდელზე დაიდოს ბაჟი 50 კაპ. ოქრ. ფუთზე.

ხმებისა, რომ გვარდიის კორპუსის უფროსობა, გრაფ შუვალოვის ნაცვლად, რომელიც ბერლინის ელჩად ინიშნება, მიეცემა პრინც ალექსანდრე პეტრეს-ძეს ოფდენ-ბურგსკის.

სამხედრო მინისტრმა მიიღო ტელეგრამა გენ. კომაროვისგან, მარტის 29-დამ, იმ მიზეზთა ხსენით, რომელთაც გამოიწვიეს ავღანელებზე იერიშით მისვლა მდ. კუშასთან. ეს ტელეგრამა სრულიად თანაბარია ოფიციალურის ცნობისა, (რომელიც ჩვენს გაზეთში იბეჭდება ღვს).

„Journal de St-Petersbourg“-ი გენ. კომაროვის უკანასკნელის ტელეგრამის გამო განმარტებს, რომ ამიერიდამ რუსის ჯარისაგან თავდაცემაზე ღაპარაკიც კი ადარ შეიძლება; გენ. კომაროვის მოქმედება სამართლიანად იქნება ცნობილი და ამას თვით ინგლისელებიც აღიარებენ. ღვსდენმა თვისის მეორე ტელეგრამით გაამტუნა კაპიტანის უეტის ცნობა, რომელიც საქმეს უღ სხვა ფერსა სდებდა და თვით გლადსტონიც ეცადა გაეპარწყლებინა რუსეთისადმი მიმართული კიცხვანი.

ლონდონი. „Pall-Mall-Gazette“-ი, რომელსაც გლადსტონთან დამოკიდებულება აქვს, ამბობს, რომ მდგომარეობა იმდენად საშიშარი არ არის როგორცა სჩანს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მშვიდობიანობა და ცუდ იქმნება. ძლიერ საფუძველად ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ევროპის ფინანსიური ინტერესების შეფერხება; მშვიდობიანობის უმთავრეს გარანტიად უნდა ჩაითვალოს ემირის დაუთანხმებლობა, ინგლისის ჯარი გაატაროს ავღანზე.

სტამბოლი. ხონთქარმა წინადადება მისცა სპარსეთის შაჰს, თუ ვინიცილობა ინგლისისა და რუსეთის შორის ომი ასტუდეს, დაიჭიროს იმგვარივე პოლიტიკა, როგორიც ოსმალეთს უჭირავს.

ბალგრადი. პატრიარქმა უმნიშვნელოდ დასტოვა მიტროპოლიტის მიხეილის პროტესტი სერბიის მიტროპოლიტად თეოდოსიის დანიშვნაზე.

აპრილის 1-ს

პეტერბურგი. სჯა სახემწიფო საადგილ-მამულთ ბანკის პროექტზედ სახემწიფო რჩევაში შემოდგომამდინ გადიდვა, რადგან რამდენიმე ცვლილების მოხდენა სა-

ჭირო. ციმბირის უმთავრესი რეინის გზის გაყვანას, როგორც ჰეიქრობენ, 1886 წლის გაზაფხულისათვის დაიწყობენ.

— შემოდგომაზედ სახემწიფო ქონებათა სამინისტრო აპირებს სამეურნეო სამაგალითო სკოლების დახსნას იმპერიის სხვა-და-სხვა ნაწილებში.

მარსელი. საფრანგეთის უველა ნავთ სადგურებში სამი დღის გარანტინი დაწესდა ისპანიილამ მომავალ გემებისათვის, რადგან იქ ხოლერა გაჩნდა.

რამალ-პინდი. დღეს ემირი წავიდა აქედამ, წასვლის წინად მან გამოაცხადა იმედი, რომ ინდოეთისა და ავღანისტანის შორის საუკუნო მეგობრობა ჩამოვარდა. ემირს ებოძა ორდენი ინდოეთის ვარსკვლავისა პირველის ხარისხისა.

ოტაშა. ამერიკის ინდიელები შეერთებული შტატებიდამ გადავიდენ კანადის სამზღვარს, შეესივნენ ქალაქს მანიტაბას, გაცარცვენ და დასწვენ იგი; ინდიელების წინააღმდეგ ჯარები გაგზავნეს.

ცნობანი

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელდა-ხელ 1 აპრილიდამ 1 მისამდე 1885 წ.

გამომცემკარი შური რუსეთის ფქვილისა	—	1 გი.	5 კ.
აქაურის ფქვილისა: შირკელის ხარისხისა	—	1 გ.	2 1/2 კ.
მეორისა	—	1 გ.	2 კ.
იმაკე ფქვილ. თორქეში გამომცემკარი: შირკელი ხარისხისა	—	1 გ.	4 1/2 კ.
მეორისა	—	1 გ.	3 კ.
მესამისა	—	1 გ.	2 1/2 კ.
ჭკაკის-მაში შური: შირკელი ხარის. ლაგაში	1 გ.	4 1/2 კ.	
მეორის ხარის. ლაგაში	1 გ.	3 1/2 კ.	
მესამისა	—	1 გ.	3 კ.
ძროხის ხარცვი: შირკელის ხარისხისა	—	1 გ.	9 კ.
მეორისა	—	1 გ.	8 კ.
სუკი	—	1 გ.	16 კ.
ცხვრის ხარცვი	—	1 გ.	10 კ.
ღორის ხარცვი: შირკელის ხარისხისა	—	1 გ.	
მეორისა	—	1 გ.	

განცხადებანი

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მალაზიში ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მალაზია იმყოფება ბულგარის პირ დაპირ საკუთარ შენობაში.

(14-5)

ქეთაისში

წიხნისა

და საკანცელიარო ნივთეულობათა მაღაზიაში

ქ. ქუთაისში

ისყიდება ყოველ გვარი ქართული, რუსული, ფრანკო-რუსული, ბერძნული, ლათინური და სხვა ენების სახელმძღვანელონი და აგრეთვე ბელეტრისტიული და სხვა გვარი საკითხავი წიგნები ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ახლად მიღებული: ქართული წერის დენები. ი. ს. ზოგებაშვილის ანბანი და რუსულისა და ქართული წერის რეველნი.

(10-7)

სამშაპარი სიმშაპარული
მოთხრობა

აუკი წყრეთლის
(„დროების“ რედაქციის გამოცემა)

ფასი 30 კაპ.

(ჩინოვ. ც. მ. უკანადავლ. მუქს. იუი. დის. კრთაშა. 100/100 დაკომპობა.)

წიგნი ისყიდება **თბილისში** გრაქურის წიგნის მაღაზიაში, შაქრდღვას საგენტოში და ჩრკეიანის მაღაზიაში. **ქუთაისში** ჭკალაშვილის წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსკოვში, თბილისში, თელავში, საზოგადოების დეპოში. მრთობაში უიდე შეიძლება აგრეთვე „დროების“ რედაქციაში.

(10-8)

რამაზა ბურკალინა

საუკეთესო სამუალება აქამოდე ცნობილ სამუალებათა შორის.

შეკრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. კრიჭინებს, პრუსაკებს, ბალონიჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის კიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არაინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაკიოთ ყურადღება გამოგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ „რამაზა ბურკალის“ ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

შმთავრესი დეპო ამიერ-კავკასიისათვის არის თბილისში „ქავკასიის საზოგადოება სააფთიაკო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებაში ბაქოს.

№ 19,485

(25-25)

ПОДПИСКА

На политическую и литературную газету

ВОСТОКЪ

НА 1885 Г.

Газета ВОСТОКЪ служитъ органомъ православныхъ восточныхъ народовъ, выходитъ до двухъ разъ въ недѣлю.

Подписная цѣна: съ доставкою и пересылкою за годъ 8 руб. за 1/2 года 4 руб. 50 коп. За границу за годъ 10 руб. за 1/2 года 5 руб.

Подписка принимается: ВЪ МОСКВѢ, въ редакціи, у малаго камен. моста, Д. Полякова.

(10-10)